

საქართველოს კანონი  
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის  
შესახებ“

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო  
მაყნე, N ) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის 56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 56. სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო  
დაწესებულებები.

იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო  
დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო  
საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე,  
კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით,  
საკუთარი ინიციატივით ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს  
წარდგინების საფუძველზე აფუძნებს, მასზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს  
და მის ხელმძღვანელს (დირექტორს) ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს  
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.“

2. კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის ამოქმედება არის ყველა საჯარო სამართლის იურიდიული  
პირის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ  
საფეხურს მაინც, აგრეთვე იმ სკოლისგარეშე დაწესებულების, რომელიც  
ახორციელებს მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო  
პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, ხელმძღვანელის  
(დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ხოლო სკოლისგარეშე  
საგანმანათლებლო და სასპორტო დაწესებულებათა შემთხვევაში - კულტურის,  
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით. ამ კანონის შესაბამისად,  
დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით  
ნიშნავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო ამ კანონის 56-ე მუხლით  
გათვალისწინებული სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელს (დირექტორს)  
ბრძანებით ნიშნავს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია ვადაძღვე  
გათავისუფლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი